

## დამატებითი ინფორმაცია კონფერენციის მონაწილეთათვის

მოსხენების მომზადებისა და შემდგომი ბეჭდვის გაადვილების მიზნით ორგკომიტეტის გადაწყვეტილებით ნაწილობრივ შეიცვალა მოსხენების წარმოდგენის ფორმატი (იხილეთ web-გვერდზე [gtu.ge/კონფერენცია](http://gtu.ge/კონფერენცია) შეცვლილი შეტყობინება). კერძოდ, ნაცვლად **PDF**-ფორმატისა მოსხენებები წარმოდგენილი უნდა იყოს **MS Word** ფორმატში. გარდა ამისა, გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ ნაშრომის მოცულობა უნდა იყოს 7 გვერდამდე, დაბეჭდილი A4 ფორმატში 1,5 ინტერვალით (მინდვრები 2 სმ) სურათების, გრაფიკების, ცხრილების და ლიტერატურის ჩათვლით. ქართული ტექსტისათვის გამოიყენეთ **AcadNusx** შრიფტი, ზომა 12. ინგლისური და რუსული ტექსტის შრიფტი – **Times New Roman**, ზომა 12.

სტატიის თავი უნდა შეიცავდეს:

- ავტორის ელექტრონული ფოსტის მისამართს და საკონტაქტო ტელეფონს;
- ორგანიზაციის სახელწოდებას, რომელსაც წარმოადგენს ავტორი;
- საკვანძო სიტყვებს ტექსტის ენაზე.

ნახაზების ან ფოტოების კომპიუტერული ვარიანტი შესრულებული უნდა იყოს **TIFF** ფორმატში გარჩევადობით 150 dpi.

სტატიას უნდა ახლდეს რეზიუმე გარდა ტექსტის ენისა, ინგლისურ ენაზე.